112-ის დროით...

№27
ნოემბერი, 2015

ევროკავშირისა და გაერო-ს განვითარების პროგრამის დელეგაცია 112-ში (გვ.4)

112-ს ყრუ და სმენაშეკვეთებული პირები ესტუმრნენ (გვ.5)

საჯარო სკოლების პიზიები 112-ში (გვ.7)

რედაქტორი ლიკა ალადაშვილი

ნომერზე მუშაობდნენ: თეა გზირიშვილი, სოფო ალექსიძე, ნატალია გელაშვილი,
მარიამ ჯმუხაძე, ჰენრიეტა ელიაური, მარიამ კიკნაძე,

დიზაინი თეა კუპრაძე

112-ს ევროკავშირისა და გაერო-ს განვითარების პროგრამის დელეგაცია ეწვია 83.4

112-ის პროექტი ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვის 83.5-6

საჯარო სკოლების ვიზიტი 112-ში 83.7-8

სკოლა „ოპიზას" მოსწავლეების ვიზიტი 112-ში 83.9

ახალგაზრდული ცენტრის სტუდენტები 112-ს ეწვივნენ 83.10

შსს-ში მოსწავლეებთან შეხვედრა გაიმართა 83.11

ოპერატორთა ბლოგი 83.13

ქირურგებმა დამწვარ მეხანძრეს სახე გადაუნერგეს 83.14-15

83.16 პოლიციის ოფიცერი

83.17 დაუჯერებელი გმირობა, რომელმაც ჩემპიონის ჯარიერა დაასამარა

83.18 სპილომ ცუნამის დროს გოგონა გადაარჩინა

83.18 ძაღლმა ახალშობილი სიკვდილისგან იხსნა

83.19 მძარცველებმა შემთხვევით 911-ში დარეკეს

83.19 პატრონმა და მძარცველმა ერთდროულად გამოიძახეს 911

83.20 დღიური ჯარიმების სისტემა

112-ს ევროკავშირისა და გაერო-ს განვითარების პროგრამის დელეგაცია ეწვია

შინაგან საქმეთა სამინისტროს 112-ის დეპარტამენტს ევროკავშირისა და გაერო-ს განვითარების პროგრამის ექსპერტთა ჯგუფი ესტუმრა.

112-ის დირექტორმა გიორგი ბიჭაშვილ-მა სტუმრებს პირადად უმასპინძლა. დე-ლეგაციის წევრები 112-ის ოპერატო-რების მუშაობის სპეციფიკას გაეცნენ და ზარის მიღებისა და შეტყობინების დამუ-შავების პროცესს დაესწრნენ.

ექსპერტებმა, 112-ის წარმომადგენლებ-თან ერთად, რისკის დროს ინფორმირე-ბისა და კომუნიკაციის, ადრეული გაფრ-თხილების, საფრთხის გამოვლენის, მო-ნიტორინგისა და შეტყობინების საკით-ხები განიხილეს.

შეხვედრის დასასრულს 112-ის წარმო-მადგენლებმა დელეგაციის წევრებს სა-მახსოვრო საჩუქრები გადასცეს.



112-ის პროექტი ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვის

შს სამინისტროს 112-ის დეპარტამენტმა დაიწყო პროექტი ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვის, რომელიც გულისხმობს მათ დარეგისტრირებას 112-ის SMS და ვიდეო ზარის სერვისის ბაზაში. პროექტის ფარგლებში უკვე განხორციელდა ორი ვიზიტი 112-ის ცენტრში.

112-ის წარმომადგენლებმა სტუმრებს SMS და ვიდეო ზარის სერვისის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს. საინფორმაციო შეხვედრის განმავლობაში, ყრუ და სმენადაქვეითებულ პირებს შესაძლებლობა მიეცათ ადგილზე დარეგისტრირებულიყვნენ 112-ის მონაცემთა ბაზაში და ახალი მომსახურების ეფექტურობა პირადად შეემოწმებინათ.

112-ის მიზანია SMS და ვიდეო ზარის სერვისის ბაზაში დაარეგისტრიროს საქართველოში მცხოვრები ყველა ყრუ და სმენადაქვეითებული პირი, რათა მათ საჭიროების შემთხვევაში დამოუკიდებლად შეძლონ გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრთან დაკავშირება. SMS და ვიდეო ზარის სერვისის შექმნის პირველ ეტაპზე, 112-მა საქართველოს მასშტაბით უკვე დაარეგისტრირა ყრუ და სმენადაქვეითებული პირების გარკვეული ნაწილი. პროექტის მეორე ეტაპზე, ყრუთა



კავშირთან თანამშრომლობით, დაიგეგმა აღნიშნული პირების ყოველკვირეული ვიზიტი 112-ში. 6 თვის განმავლობაში, ყოველკვირეული ვიზიტების ფარგლებში, ყრუ და სმენადაქვეითებულ პირებს მათთვის განსაზღვრული სერვისის შესახებ პრეზენტაცია ჩაუტარდებათ და 112-ის მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირდებიან, ასევე დაათვალიერებენ 112-ის ქოლ-ცენტრს და გაეცნობიან, როგორ ხდება SMS და ვიდეო ზარის მიღების პროცესს.

შეგახსენებთ, 112-ის SMS და ვიდეო ზარის სერვისი 2015 წლის მარტის თვეში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით დაინერგა. სერვისის შემუშავებაში აქტიურად იყო ჩართული საქართველოს ყრუთა კავშირი. SMS და ვიდეო ზარის სერვისი უფასოა და განკუთვნილია მხოლოდ ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვის. სერვისი მოქმედებს მთელი საქართველოს მასშტაბით, 24 საათის განმავლობაში. 112-ში შემოსული შეტყობინება, გადაუდებელი დახმარების შესახებ, გადაეცემა სასწრაფო-სამედიცინო დახმარებას, პოლიციას და სახანძრო-სამაშველო სამსახურს. ვიდეო ზარის საშუალებით შემოსულ შეტყობინებებს ჟესტური ენის მცოდნე ოპერატორები იღებენ. აღნიშნული სერვისით სარგებლობისათვის საჭიროა წინასწარი რეგისტრაცია 112-ის ვებ-გვერდზე: www.112.ge

საჯარო სკოლების ვიზიტი 112-ში

2015 წლის 19 ნოემბრიდან, შსს-ს 112-ის დეპარტამენტს, პროექტის „მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულის პრევენციის“ ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა საჯარო სკოლის მოსწავლეები ესტუმრნენ.

ვიზიტის ფარგლებში, წეროვანის, საგურამოს და თბილისის 147-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები გაეცნენ სამსახურისა და ოპერატორების მუშაობის სპეციფიკას, მიიღეს ინფორმაცია გადაუდებელი დახმარების ნომრის - 112-ის შესახებ, რომლის მიზანია მოქალაქეთათვის გადაუდებელი შემთხვევების დროს დახმარების აღმოჩენა, მთელი საქართველოს მასშტაბით, 24 საათის განმავლობაში. ასევე, მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია, თუ როგორ და რა დროს უნდა დარეკონ 112-ზე. გაიგეს, რომელი გადაუდებელი სამსახურის ბრიგადების გამოძახებაა შესაძლებელი 112-ზე დარეკვით.

პროექტის მიზანია, არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენცია, მართლწესრიგისა და უსაფრთხოების საკითხებზე მათი სამოქალაქო ცნობიერების განვითარების ხელშეწყობის გზით. ასევე, ახალგაზრდებში სამართლებრივი ცნობიერების, მართლშეგნებისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაზრდა.

სკოლა „ოპიზას“ მოსწავლეების ვიზიტი 112-ში

2015 წლის 30 ნოემბერს, შინაგან საქმეთა სამინისტროს 112-ის დეპარტამენტს, სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავალი თაობის“ პროგრამაში ჩართული სკოლის მოსწავლეები ესტუმრნენ. აღსანიშნავია, რომ ვიზიტი სკოლის მოსწავლეების ინიციატივით განხორციელდა.

ვიზიტის ფარგლებში, სკოლა „ოპიზას“ მოსწავლეებმა გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრი დაათვალიერეს, ადგილზე გაეცნენ სამსახურისა და ოპერატორების მუშაობის სპეციფიკას. მოსწავლეებმა მიიღეს ინფორმაცია გადაუდებელი დახმარების უნიკალური ნომრის - 112-ის შესახებ, რომლის მიზანია მოქალაქეთათვის გადაუდებელი შემთხვევების დროს დახმარების აღმოჩენა, მთელი საქართველოს მასშტაბით, 24 საათის განმავლობაში. ასევე, მოზარდებს მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია, თუ როგორ და რა დროს უნდა დარეკონ 112-ზე. გაიგეს, რომელი გადაუდებელი სამსახურის ბრიგადების გამოძახებაა შესაძლებელი 112-ზე დარეკვით.

112-ში სტუმრობისას სკოლის მოსწავლეებმა სამსახურის წარმომადგენლებისგან შეიტყვეს, თუ რა ზიანის მომტანია ცრუ ზარის განხორციელება 112-ზე და რა სანქციებია გათვალისწინებული ნომრის არამიზნობრივად გამოყენების შემთხვევაში. ასევე მიეწოდათ ინფორმაცია, 112-ის SMS და ვიდეო ზარის სერვისის შესახებ, რომელიც მხოლოდ ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვისაა განკუთვნილი.

ახალგაზრდული ცენტრის სტუდენტები 112-ს ეწვივნენ

2015 წლის 5 ნოემბერს, შს სამინისტროს 112-ის დეპარტამენტს, პროგრამის - „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის“ ფარგლებში, თბილისის ახალგაზრდული ცენტრის ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი სტუდენტები ეწვივნენ.

სტუმრებმა გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრი დაათვალიერეს, ოპერატორების სამუშაო პროცესს დააკვირდნენ, მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებს გაეცნენ. სტუდენტებს მათთვის საინტერესო კითხვებზე 112-ის წარმომადგენლებმა უპასუხეს.

ვიზიტის დასასრულს, თბილისის ახალგაზრდული ცენტრის წარმომადგენლებს სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

112-ში სტუდენტების ვიზიტს სისტემატიური ხასიათი აქვს და იგი ახალგაზრდებში სამოქალაქო კულტურის ამაღლებას და გადაუდებელ სიტუაციებში ქცევის წესების გაცნობას ისახავს მიზნად.

შსს-ში მოსწავლეებთან შეხვედრა გაიმართა

შს სამინისტროს ინიციატივით, შსს-ს სხვადასხვა დანაყოფის და განათლების და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებმა, ბავშვთა ძალადობისგან დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, თბილისის 191-ე საშუალო სკოლის 44 უფროსკლასელ მოსწავლესთან საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრა გამართეს.

შსს-ს წარმომადგენლები მოზარდებს ბავშვთა ძალადობის სხვადასხვა ფორმის, მათ შორის, ბულინგის შესახებ ესაუბრნენ, რომელიც გავრცელებულია მოზარდებში და ინფორმაცია მიაწოდეს იმ მძიმე დანაშაულების შესახებ, რომლებშიც შესაძლოა ბავშვები ჩართული იყვნენ, როგორც მსხვერპლნი. ასევე განიხილეს ბავშვთა ძალადობის ერთ-ერთი ფორმის - არასრულწლოვანთა ტრეფიკინგის და ონლაინ სექსუალური ექსპუატაციის საფრთხეების საკითხები. შეხვედრის მონაწილეებმა მოზარდების კითხვებს ამომწურავად უპასუხეს. 112-ის წარმომადგენელმა მოსწავლეებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ თუ ისინი გახდებიან ძალადობის ნებისმიერი ფორმის მსხვერპლი, თვითმხილველი ან თანამონაწილე, აუცილებლად უნდა დარეკონ 112-ში, რათა მოხდეს შესაბამისი რეაგირება. შეხვედრაზე მოზარდებს ძალადობის წინააღმდეგ მომზადებული ვიდეორგოლები უჩვენეს. ღონისძიებას ესწრებოდნენ შსს-ს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის პროექტების მართვის სამმართველოს უფროსი მაკა ფერაძე, შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების დეტექტივ-გამომძიებელი დიანა როსტიაშვილი, შსს-ს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ 112-ის ინსპექტირების სამსახურის მთავარი სპეციალისტი ირმა უტიაშვილი, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის ფსიქოლოგი თეონა ჩიტიაშვილი.

შსს 112-ის დეპარტამენტი შეუერთდა ძალადობის წინააღმდეგ კამპანიას -

თქვი არა!



გამორჩეული ზარი 999-ზე

20 ოქტომბერი, 2005 წელი

სუზი ბრენტი, ლონდონის სასწრაფო დახმარების ცენტრის დისპეტჩერი, იხსენებს ერთ-ერთ ყველაზე დასამახსოვრებელ და გამორჩეულ ზარს.

ზარის ინიციატორი მოხუცი ქალბატონი და მისი 7 წლის შვილიშვილი იყვნენ, მიზეზი კი - 70 წლის ბაბუის მძიმე მდგომარეობა. მას ფილტვების პრობლემა ჰქონდა და მოულოდნელად სუნთქვა შეაჩერა.

პირველი წუთები სუნთქვის შეწყვეტიდან ძალიან კრიტიკულია, სუზი ბრენტმა გადაწყვიტა აღნიშნული ზარისთვის მაღალი პრიორიტეტი მიენიჭებინა. ასეთ სიტუაცი აში ყოველი წამი გადამწყვეტია.

დისპეტჩერს ესმოდა, თუ როგორ ცდილობდა მოხუცი ქალი მეუღლე ძირს დაეწვინა და მისთვის გულის მასაჟი გაეკეთებინა, ამასობაში მას 7 წლის შვილიშვილმა გამოართვა ტელეფონი.

- „გამარჯობა, მე სასწრაფო სამედიცინო დახმარების დისპეტჩერი ვარ და ჩვენ დავეხმარებით ბაბუას, სასწრაფო უკვე გზაშია, მაგრამ სანამ ის თქვენამდე მოვა ჩვენ უნდა დავეხმაროთ მას, ამისთვის მჭირდება რომ შენ ძლიერი იყო!“ - უთხრა მას სუზი ბრენტმა.

- „კარგი, რისი გაკეთება შემიძლია?“ - უპასუხა პატარა გოგონამ.

სუზიმ ჰკითხა რას აკეთებდა ბებია და როცა შეიტყო, რომ ქალი მართლაც ცდილობდა ბაბუა სავარძლიდან იატაკზე დაეწვინა, ურჩია ის ისევ უკან დაებრუნებინათ. სთხოვა გოგონას დაკვირვებოდა და მისთვის ეთქვა, თუ როგორ სუნთქავდა პაციენტი, ბებიას კი გაეგრძელებინა გულის მასაჟი. ამასობაში სასწრაფო დახმარების ბრიგადაც მივიდა.

სუზი ბრენტმა გადაწყვიტა დარჩენილიყო ხაზზე, რათა გაეგო რა ხდებოდა. საბოლოოდ ყველაფერი კარგად დამთავრდა, სასწრაფო დახმარების ექიმებმა მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

პაციენტის მეუღლე და შვილიშვილი უნდა ამაყობდნენ იმით, რომ მათ შეძლეს მოხუცი მამაკაცისთვის სიცოცხლის შენარჩუნება.

ქირურგებმა დამწვარ მეხანძრეს სახე გადაუნერგეს

ნიკოლას კეიჯისა და ჯონ ტრავოლტას მონაწილეობით გადაღებული ფილმის „სახის გარეშე“ სიუჟეტი უკვე აღარ გვეჩვენება ფანტასტიკად. სახის გადანერგვა 10 წელზე მეტი ხნის წინ გახდა მედიცინისთვის შესაძლებელი. თუმცა დროსთან ერთად ტექნოლოგიებიც იხვეწება და ექიმები უფრო და უფრო რთულ ოპერაციებზეც მიდიან, მაგრამ დღესდღეობით ყველაზე გაბედულ და მოწინავე გადანერგვად შეიძლება, ჩაითვალოს ამერიკელი მეხანძრის, პატრიკ ჰარდისონის შემთხვევა, რომელმაც ძლიერი დამწვრობა მიიღო და, პირდაპირი მნიშვნელობით, საკუთარი სახე დაკარგა.

ნიუ-იორკის უნივერსიტეტთან არსებული ლანგონის სამედიცინო ცენტრის ექიმთა ბრიგადამ მიზნად დაისახა 41 წლის მეხანძრისთვის სახის სრული გადანერგვა. პაციენტისთვის არა მხოლოდ სახის, არამედ ყურების (სასმენი არხების ჩათვლით), სახის ძვლების ნაწილის, ცხვირის, ჭუთუთოების (მათ მოძრაობაზე პასუხისმგებელი კუნთების სისტემის ჩათვლით), ასევე დონორის ვარცხნილობის მქონე სკალპის გადანერგვა იგეგმებოდა. დონორი გახდა მხატვარი დევიდ როუდბახი, რომელიც 26 წლის ასაკში, ველოსიპედით სეირნობისას, ავარიის შედეგად გარდაიცვალა. დევიდმა საკუთარი სხეული თავისი ნებით დატოვა დონორული ორგანოების წყაროდ, ამიტომ მისი სახის გადანერგვა სხვა ადამიანისთვის კანონის სრული დაცვით განხორციელდა. მისმა გულმა, ღვიძლმა და თირკმელებმა ასევე რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე იხსნა.

ურთულეს ოპერაციაში 100-ზე მეტი ექიმის, მედდისა და მომსახურე პერსონალისგან შემდგარი გუნდი მონაწილეობდა. პროექტს ხელმძღვანელობდა ექიმი ედუარდო როდრიგესი, ჰანსიორგ ვისის სახელობის პლასტიკური ქირურგიის დეპარტამენტის უფროსი. ოპერაცია 26 საათზე მეტ ხანს გაგრძელდა, მას წინ ერთწლიანი მოსამზადებელი პერიოდი უძღოდა, რომლის განმავლობაშიც პაციენტმა კანის საფარველის აღდგენის 70 სხვადასხვა პროცედურა გაიარა. ამას მაქსიმალურად უნდა გაეადვილებინა

ქირურგებისთვის საქმე ოპერაციის დროს. ოპერაცია 1 მილიონი დოლარი დაჯდა.

პატრიკი პირნათლად ასრულებდა მეხანძრის სამუშაოს, სანამ 2001 წელს მას ერთ-ერთი შენობის ალმოდებული სახურავი არ დაემხო ზედ. შედეგად სრულიად დაიწვა მეხანძრის სახე, თავი, კისერი და ტორსის ზედა ნაწილი. მან დაკარგა ქუთუთოები, ყურები, ტუჩები, თმა, წარბები და პრაქტიკულად სრულად დაკარგა ცხვირი. მას შემდეგ, რაც პატრიკის ისტორია მოისმინა, ექიმმა როდრიგესმა გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, დაებრუნებინა მამაკაცისთვის სარკეში თავისუფლად ჩახედვის შესაძლებლობა. ოპერაცია 2015 წლის აგვისტოში ჩატარდა, თუმცა მისი შედეგები მხოლოდ ახლა გამოქვეყნდა.

ოპერაციის პროექტირებისას გამოყენებულ იქნა სხვადასხვა მოწინავე ტექნოლოგია, მათ შორის კომპიუტერული 3D-მოდელირება, ასევე 3D-ბეჭდვა, რომლის მეშვეობითაც ქირურგები პატრიკისა და დონორის თავების მოდელებს ბეჭდავდნენ, რათა მაქსიმალურად ზუსტად გაეთვალათ ყველა აუცილებელი მოქმედება.

ჰოსპიტალის კედლების დატოვებამდე სამი თვე გავიდა. პატრიკი ჯერ კიდევ იღებს სპეციალურ მედიკამენტებს, რათა თავიდან იქნას აცილებული გადანერგილი ქსოვილების მოცილება, ასევე გადის სარეაბილიტაციო თერაპიის კურსს, იმისთვის, რომ სხვისი ტუჩებით ლაპარაკი ისწავლოს.

-„ულრმესი მადლიერება მინდა გამოვხატო ჩემი დონორისა და მთელი მისი ოჯახის მიმართ - განუცხადა პატრიკმა ჟურნალისტებს ერთ-ერთ ინტერვიუში, - მიუხედავად იმისა, რომ მე მათ პირადად არ ვიცნობ, ყოველდღე ვლოცულობ მათთვის, იმიტომ, რომ ვიცი, რა რთული გადაწყვეტილება მიიღეს ჩემს დასახმარებლად. ასევე მინდა, მადლობა გადავუხადო ექიმ როდრიგესს და მთელ მის გუნდს, იმისთვის, რომ რომ მათ მაჩუქეს რაღაც უფრო მეტი, ვიდრე ახალი სახეა. მათ მე ახალი სიცოცხლე მაჩუქეს“.

წყარო: www.hi-news.ru

პოლიციის ოფიცერი



აშშ-ს შტატ ფლორიდაში, ქ. გეინსვილის პოლიციის დეპარტამენტის ოფიცერმა, კრისტენ მილერმა, 2015 წლის 14 სექტემბერს, შეიტყო რომ სოციალურად დაუცველი 92 წლის მოხუცი ქალი გასაჭირში იმყოფებოდა. როგორც აღმოჩნდა, სოციალური დახმარების სამსახურის მიერ ფინანსური დახმარების ოდენობის განსაზღვრის დროს გათვალისწინებული არ იყო კომუნალური გადასახადები. შესაბამისად, მოხუცს მალევე შეუწყდა ელექტრო და წყალმომარაგება. ოფიცერი ქალბატონის სახლში მივიდა და აღმოაჩინა, რომ მაცივარში არსებული საკვების მთელი მარაგი გაფუჭებული იყო. ქალს დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეეძლო, შესაბამისად პროდუქტის ყიდვასაც ვერ ახერხებდა. პოლიციის ოფიცერი დაუყოვნებლივ წავიდა უახლოეს მარკეტში პროდუქტების შესაძენად, კაპრალი ჯესიკა ვანი კი მოხუც ქალთან დარჩა. მილერმა საკუთარი სახსრებით შეიძინა პირველადი მოხმარების საგნები, საკვები პროდუქტები და მოხუცს მიუტანა. გახარებული ქალი სიტყვებს ვერ პოულობდა მისთვის მადლობის გადასახდელად.

- „ეს არის ის, რაზეც პოლიციელის პროფესიაა დამყარებული, ჩვენ ვეხმარებით ადამიანებს და ვამაყობთ ამით!“ - საკუთარ ფეისბუქის გვერდზე დაპოსტა გეინსვილის პოლიციის დეპარტამენტმა.

წყარო: www.facebook.com/GainesvillePolice

დაუჯერებელი გმირობა, რომელმაც ჩემპიონის ჯარიერა დაასამარა

1976 წლის 16 სექტემბერს, კაშხლის პირას მიმავალი ტროლეიბუსი წყალში გადავარდა და დახრჩობისთვის განწირული 92 მგზავრი ფსკერისაკენ წაიყოლა. ამ დროს, ტბის ირგვლივ თავის ყოველდღიურ გარბენს მსოფლიოს 17 გზის, ევროპის 13 გზის, საბჭოთა კავშირის 7 გზის ჩემპიონი და 8 მსოფლიო რეკორდის ავტორი შავარშ კარაპეტიანი ასრულებდა. ის იმწუთასვე გადაეშვა ამღვრეულ წყალში. მოგვიანებით ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ფიზიკურად შეუძლებელი იყო იმის გაკეთება, რაც მან შეძლო. ფეხებით ჩაამსხვრია ტროლეიბუსის უკანა მინა და დაიწყო გონებადაკარგული მგზავრების გამოყვანა. 20 წუთი დაჰყო ყინულიან წყალში და 20 სიცოცხლე გადაარჩინა - სინამდვილეში მან მეტი მგზავრი ამოიყვანა, თუმცა, სამწუხაროდ სხვების გადარჩენა ვეღარ მოხერხდა. ყოველი ამოყვინთვის შემდეგ ჩანდა, თუ როგორ ემატებოდა სხეულზე მინის ნამსხვევებისგან დასერილი ადგილები.

კითხვაზე - რა იყო ყველაზე მძიმე? შარვაშმა უპასუხა: - „ვიცოდი, რომ მთელი ჩემი ფიზიკური შესაძლებლობების მიუხედავად, ძალა მხოლოდ მგზავრთა გარკვეულ რაოდენობაზე მეყოფოდა. ხილვადობა ნულის ტოლი იყო. ხელის შეხებით ვპოულობდი ადამიანებს და დაუფიქრებლად, დრო რომ არ დამეკარგა, ზევით მოვაცურებდი. ერთ ამოყვინთვაზეც აღმოჩნდა, რომ სავარძლის ტყავის ბალიში ამომიტანია. დავყურებდი ამ ბალიშს და საშინელება იყო იმის გაფიქრება, რომ ჩემი შეცდომის საზღაური ვიღაცის სიცოცხლე გახდა...“

მეორე დღეს, შავარშ კარაპეტიანი საავადმყოფოში გადაიყვანეს. მას ფილტვების ანთება ჰქონდა, 40 გრადუსი სიცხით, რომელიც შემდეგ სეფსისით გართულდა. ექიმები გადარჩენის იმედს ვერ იძლეოდნენ, თუმცა 46-ე დღეს ავადმყოფი გონს მოეგო. ფილტვში მრავალრიცხოვანი იარების გამო ყოველი ამოსუნთქვა ტკივილს უკავშირდებოდა. ექიმებმა სპორტის დავიწყება ურჩიეს, თუმცა მას ამის გაგონებაც არ უნდოდა.

1977 წელს, შავარშ კარაპეტიანი საბჭოთა კავშირისა და ევროპის ჩემპიონი გახდა და დაამყარა ახალი რეკორდი, თუმცა, მას შემდეგ მას მაინც მოუწია სპორტის დატოვება ჯანმრთელობის პრობლემების გამო.

წყარო: www.ici.ge

სპილომ ცუნამის დროს გოგონა გადაარჩინა

2004 წელს, ტაილანდში მომხდარი ცუნამის დროს, სანაპიროზე მყოფი 8 წლის ემბერ მენსონი სპილომ გადაარჩინა. როგორც კი ტალღამ ნაპირს დაარტყა, 4 წლის სპილომ ხორთუმი მოხვია ბავშვს და უახლოესი შემაღლებული ადგილისკენ გაიქცა. ცხოველი გააფთრებით იცავდა გოგონას და თავისი სხეულით ეფარებოდა, რომ წყლის ნაკადს მისთვის არ დაერტყა. რომ არა სპილო, გოგონა სანაპიროზევე დაიღუპებოდა.

მაწანწალა ძაღლმა ახალშობილი სიკვდილისგან იხსნა

ტაილანდში ქუჩის მაწანწალა ძაღლმა ახალშობილი გოგონა სიკვდილისგან იხსნა. გოგონა დედამ სანაგვეზე გადააგდო და რომ არა ძაღლი სახელად ნომ სოტი (ტაილანდურად - რძე) პატარას ორი სხვა ძაღლი დაგლეჯდა.

ინციდენტი ტაილანდის ერთ-ერთ პატარა სოფელში მოხდა. სანამ ორი მოზრდილი ძაღლი ერთმანეთს ებრძოდა ნადავლის დასაკუთრების მიზნით, ნომ სოტმა ზეწარს კბილები ჩაავლო და ახალშობილი ადამიანებთან მიარბენინა. ბავშვს ტანზე რამდენიმე ნაკბენი აღენიშნებოდა, იგი სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ადგილობრივმა პოლიციამ ვიდეოთვალთვალის კამერების ჩანაწერებში აღმოაჩინა ქალი, რომელიც ზეწარში გახვეულ ახალშობილს სანაგვეზე აგდებდა.

წყარო: www.mif-facts.com.ua

მძარცველებმა შემთხვევით 911-ში დარეკეს

აშშ-ს შტატ მინესოტაში სამი მძარცველი დააპატიმრეს. ერთ-ერთმა მათგანმა ჯიბეში მდებარე მობილურიდან შემთხვევით განახორციელა ზარი 911-ზე. ოპერატორმა, რომელმაც აღნიშნული ზარი მიიღო, ბოლომდე მოისმინა საუბარი, საიდანაც ნათლად ჩანდა, რომ ეს პირები ბინას ძარცვავდნენ.

ზარის ხანგრძლივობა 34 წუთი იყო, ამ დროის განმავლობაში პოლიციამ მისამართიც დაადგინა და ადგილზევე აიყვანა დამნაშავეები.

წყარო: www.pravda.ru

პატრონმა და მძარცველმა ერთდროულად გამოიძახეს 911

2012 წლის დეკემბერში, ტეხასის შტატის ქალაქ სპრინგტონში, ჯეიმს ჯეროუს მეუღლესთან და შვილებთან ერთად საკუთარ სახლში ეძინა, როცა მის ავტოფარეხში ვიღაც შეიპარა. ჯეროუმ იარაღი აიღო, ავტოფარეხში შევარდა და მძარცველი კედელთან მიიმწყვდია. დამნაშავემ მოახერხა და იქვე მდგომი სატვირთო ავტომანქანის გასაღები აიღო, შევარდა კაბინაში, კარი შიგნიდან ჩაიკეტა და 911-ზე დარეკა. პარალელურად ჯეროუს მეუღლემაც გამოიძახა დახმარება - „იჩქარეთ, ჩემს მეუღლეს იარაღის მუქარით ჰყავს გაჩერებული ის...“ - უთხრა მან 911-ის ოპერატორს.

911-ის ოპერატორმა ოპერატიულად გაგზავნა მისამართზე პოლიცია და დამნაშავე ადგილზევე დააპატიმრეს.

წყარო: www.publy.ru

„დღიური ჯარიმების“ სისტემა

ფინეთში სიჩქარის გადაჭარბების დროს ე.წ. „დღიური ჯარიმების“ სისტემა გამოიყენება, ჯარიმის ოდენობა კი პიროვნების შემოსავალზეა დამოკიდებული, ამიტომაც ხშირად ის ათობით ათას ევროსაც კი აღწევს.

2002 წელს, ნოკიას ერთ-ერთი დირექტორი, ანსი ვანიოკი, 116 ათასი ევროთი დააჯარიმეს, ის 50 კმ/სთ შეზღუდვის მქონე გზის მონაკვეთზე 75 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობდა.

გახსოვდეთ!


112 - თან დაკავშირება შესაძლებელია
ფიქსირებული და მობილური
ტელეფონიდან
112
112
სიმ-ბარათის გარეშე
24/7
ინდექსისა და ქალაქის კოდის გარეშე
ორმხრივად გათიშული მობილური ტელეფონიდან
ორმხრივად გათიშული ფიქსირებული ტელეფონიდან
www.112.ge
www.facebook.com/112.ge
www.kids.112.ge

როცა წამები გადამწყვეტია
კითხვები, რომლებზეც აუცილებლად
უნდა უპასუხოთ 112-ის ოპერატორს
რა მოხდა?
შემთხვევის ტიპი
სად მოხდა?
შემთხვევის ზუსტი
ადგილი
თქვენი სახელი
და გვარი
www.112.ge
www.facebook.com/112.ge
www.kids.112.ge
112
ნოემბერი, 2015

შსს სსიპ – 112

ვაშლიჯვრისა და ნუსუბიძის მიკრორაიონების დამაკავშირებელი ავტობანი

www.112.ge

pr@112.ge